



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №6

ქ. ბათუმი

2019 წლის 25 აპრილი  
13<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თეზიძე

### მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დემიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი.

**არ ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :**

ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;

**ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :**

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ლ. კომახიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - თ. პეტრიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნ. დეკანაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ე. ნატარიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი;

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - ს. ევგენიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში სერვის-ცენტრის მერის წარმომადგენლები;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატი - თ. კახიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ - ე. ჭოლიკიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

### **დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის – თემურ კახიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხსენებელი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

(მომხსენებელი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

3. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

5. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივტიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხსენებელი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ტურისტული ავტობუსების მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M 2 და M 3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

**საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.**

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ ისაუბრა ბათუმელი მხატვრის ჯონი ჯიჯე-იშვილის პერსონალური გამოფენის დასწრების თაობაზე, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის 3 და 4 მაისს 16.00 საათზე აჭარის ხელოვნების მუზეუმში.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ მიულოცა „ბათუმი დინამოს“ გამარჯვება და პირველ ადგილზე გასვლა. ასევე წამოაყენა წინადადება „ბათუმი დინამოს“ სამართლებრივი ფორმით გასხვისების თაობაზე, რომელიც გუნდის განვითარებისთვის უკეთესი იქნება.

საკრებულოს წევრი ა. მამულაძე უერთდება მილოცვებს. მან აღნიშნა, რომ თამარის დასახლებაში რკინიგზაზე გადასასვლელი ადგილი მოსაწესრიგებელია, რომელიც მნიშვნელოვან დაბრკოლებას ახდენს როგორც განლაგებულ სოფლებთან, ასევე ცენტრალურ გზასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ „ბათუმი დინამოს“ მადლობა გადაუხადა გამარჯვებისათვის. მან წამოაყენა წინადადება „ბათუმის დინამოს“ მატჩების ტელევიზიით გაშუქების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ ისაუბრა მსოფლიოში ცნობილ საფეხბურთო კლუბის კერძო საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით, რომლებსაც ფინანსური მოტივაციაც აქვს და გამარჯვებაც გარანტირებულია. ასევე განაცხადა, მერიის სამსახურების - შპს „ბათუმის წყლისაგან“ და შპს „სანდასუფთავებისგან“ საჯარო ინფორმაციის მიუღებლობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წამოჭრილ კითხვებს ქ. ბათუმის მერი პასუხს გასცემს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

**1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის – თემურ კახიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის №78 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი კორესპოდენცია, რომლითაც წარმოდგენილია განკარგულება: „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ“ დოკუმენტაცია. შესაბამისად, განსახილველად წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის - თემურ კახიძის უფლებამოსილების ცნობა.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

საკრებულოს წევრი თ. კახიძე უფლებამოსილების ცნობის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხების განხილვაში და კენჭისყრის პროცესში მიიღებს მონაწილეობას.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

**2.ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ**

(მომხსენებელი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15/02/2018 №8; 30/03/2018 №32; 29/05/2018 №41; 28/06/2018 №48; 09/08/2018 №61; 14/12/2017 №72 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 167,422.1 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 167,027.5 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 173,380.2 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 164,527.1 ათასი ლარი.

2018 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს, ასევე სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფერო და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება:**

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 36 440,7 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 26 033,2 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 13 060,2 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 4 426,1 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 970.8 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 1 186,9 ათასი ლარი;

**განათლება:**

- სკოლამდელი განათლება - 14 707,3 ათასი ლარი;
  - პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 167,1 ათასი ლარი;
  - ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 8,9 ათასი ლარი;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:**
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 5 726,5 ათასი ლარი;
  - მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 4 006,6 ათასი ლარი;
  - კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 2 407,9 ათასი ლარი;
  - კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 146,6 ათასი ლარი;
  - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 133,5 ათასი ლარი;
  - ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 120,5 ათასი ლარი.

**ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:**

- ჯანმრთელობის დაცვა - 3 649,8 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 9 363,5 ათასი ლარი;
- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 704,2 ათასი ლარი.

**ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება:**

- ქალაქის დაგეგმარება - 327,2 ათასი ლარი;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის გამდიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 41.8 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სერვისების განვითარება - 2,058.0 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 10,499.7 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (6,998.5 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (19 225,2 ათასი ლარი), წვევამდელთა ტრანსპორტირება (14.4 ათასი ლარი), თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გამდიერება (42.8 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება (58.8 ათასი ლარი).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 167,027.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2018 წლის გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 32,055.0 ათასი ლარი (შემოსულობების 19.2%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 81,242.1 ათასი ლარი (შემოსულობების 48.6%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 48,950.8 ათასი ლარი (შემოსულობების 29.3%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 4,779.7 ათასი ლარი (შემოსულობების 2.9%).

**შემოსავლები**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 161,522.1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 162,247.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

**გადასახადები**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 32,055.0 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 29,900.0 ათასი ლარის 107.2%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 19.2%-ს.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ე ე ს :**

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა 27-ე ბათუმის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერებასთან დაკავშირებით, რაზედაც ვიცე-მერმა თ. პეტრიძემ



განმარტა, რომ ტენდერი არ შედგა, პრეტენდენტმა ვერ წრმოადგინა დოკუმენტაცია და მიიღო დისკვალიფიკაცია. განმეორებით გამოცხადებულ ტენდერით გამოვლინდა გამარჯვებული და დაწყებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ სპორტულ საკითხთან დაკავშირებით დასვა შეკითხვა, რომ მძლეოსნობაში შედის 40 ქვესახეობა, რომელსაც დღეს სპორტული ბილიკი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ გააჩნია.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ აღნიშნა, რომ 153 მილიონიდან 173 მილიონამდე ასულ წლის დასაწყისში ბიუჯეტი მისასაღმებელია, ე.ი შესრულება 95%-ია. მაღლობა გადაუხადა მერს და მერიის წარმომადგენლებს.

საკრებულოს წევრი ი. პატარიძე შეუერთდა ლ. სირაბიძის პათოსს და მაღლობა გადაუხადა ბიუჯეტის 95%-იან შესრულებას. ასევე უერთდება რ. თავართქილაძეს მძლეოსნობის მანეჟის შექმნასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ მომხსენებლის მიერ ბიუჯეტის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ რჩება კითხვები: ტენდერი არ შედგა, პრეტენდენტმა ვერ წრმოადგინა დოკუმენტები და.ა.შ. გამომდინარე აქედან მენეჯმენტის პრობლემაა და ეს კუთხეა გასაუმჯობესებელი. ფურცლებზე ბიუჯეტი შესრულებულია, მაგრამ რეალურად რამდენად ჰპოვა ასახვა არ ჩანს. ასევე დასვა კითხვები: 2018 წლის სახელფასო ზრდის 2017 წლის ბიუჯეტის მიმართებაში და 2019 წლის ბიუჯეტი რამდენითაა გაზრდილი. ბიუჯეტის შესრულებას მიესაღმებით, მაგრამ 6-ჯერ ცვლილება განიცადა წლის განმავლობაში. რამდენიმე ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები ამოღებულია, სუბსიდირება მიიღო 8 მილიონი შპს „ავტოტრანსპორტმა“ და სად წარიმართა ეს თანხა?

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ ქალაქში კარგი საქმეების გაკეთებას მიესაღმება, მაგრამ ის საკითხები, რომლებსაც თვითონ საკრებულოს სხდომებზე აყენებდა, არ შესრულებულა.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ შეაფასა ის დინამიკა, რაც თვითმმართველობის ბიუჯეტს აქვს ყოველ წელს. შემოსავლები სტაბილურად

მატულობს და პროცენტიც მაღალია. მან დადებითად შეაფასა ბიუჯეტის ანგარიში და კოლეგებს მოუწოდა მხარდასაჭერად.

ქ. ბათუმის მერი ლ. კომახიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას. მიულოცა დამდები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, მშვიდობა და წარმატებები უსურვა. შეუერთდა „ბათუმი დინამოს“ მილოცვას, ასევე ყველა მიიწვია 28 აპრილს ბათუმობის დღესასწაულზე, მაშინ როდესაც ქალაქის სტატუსი იქნა მინიჭებული. ეს დღესასწაული ემთხვევა აღდგომას, მაგრამ ეკლესიიდან აქვთ გამოხმაურება, რომ კარგია აღდგომაც და ბათუმობაც, ორივე დღესასწაულია და ერთი ზეიმი მეორეს ხელს არ უშლის. მან საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა: 27-ე ბათუმის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. მძლეოსნობის მანქანთან დაკავშირებით საკითხს იზიარებს, საკმაოდ ფინანსურადაც მოცულობითი საკითხია, გამომდინარე, რომ რეგიონში განხორციელდა ძალიან მსხვილი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები, მაგრამ აღნიშნული პროექტი კარგი იქნება 1-2 წლის შემდეგ განხილული იქნას, რის გამოც უზარმაზარი სპორტული მშენებლობის გამო გადაწყვიტეს დროში გადაწევა. მაღლობა გადაუხადა კოლეგებს, რომ ბიუჯეტი უპრეცედენტო მაჩვენებლებით შესრულდა, გადასახდელები 94,9 მეათედით, შემოსულობები 39,8 მეათედი პროცენტით. კაპიტალური პროექტების წილი იყო 40%. ბიუჯეტის 6-ჯერ ცვლილება მიმართული იყო ზრდისკენ. ზოგიერთი ქვეპროგრამის დაბალ შესრულებას დაეთანხმა, რომელიც დამოკიდებულია ბენეფიციარების მიერ პროდუქტის გამოყენებაზე. სახელფასო ზრდა ბიუჯეტში მიმართული იყო საბავშვო ბაღების პედაგოგების 20%-ით, ბაღის გამგეების 10 %-ით, ასევე 50 თეთრით ზრდა იყო ავტოტრანსპორტის მძღოლებზე. შრომის ანაზღაურების წილი ბიუჯეტში არის 11,8%. ბათუმის მუნიციპალიტეტი პირველ ადგილზე დგას საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტებს შორის, როგორც ყველაზე ნაკლები შრომის ანაზღაურების წილი მთელ ბიუჯეტში. მერიის საფინანსო სამსახურის უფროს სთხოვა

გადაგზავნა მ. ქამადაძეზე ბიუჯეტის პროცენტულად ჩაშლილი ვარიანტის მიწოდება, შპს „ავტოტრანსპორტის“ მიერ განხორციელებული ოპტიმიზაციის შედეგად ეფექტურობა გაზრდილი აქვს დაახლოებით 2 მილიონ ლარამდე წინა წლებთან შედარებით. ქონების კუთხით ცვლილებები მოხდა, რომელმაც დადებითი დინამიკა შემოუტანა ბიუჯეტს. რეფორმების გატარების შედეგად ბოტანიკური ბაღის შემოსავლები გაიზარდა. ქალაქს შემოერთებულ ტერიტორიებზე განლაგებული ქუჩები ბიუჯეტიდან არ ამოღებულა, მიმდინარეობს სამუშაოები. მიმდინარე წელს 100 ქუჩაზე მეტი არის რეაბილიტაციის ქვეშ.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ განაცხადა, რომ პასუხები მოისმინა, მაგრამ 2018 წლის 14 დეკემბრის ცვლილებების თანახმად, ამოღებულია ქალაქის ეკონომიკური განვითარების გეგმა, კერძოდ ინდუსტრიული საწარმოს, ბიზნესცენტრის შექმნა, ძველი ბათუმის განვითარების ხელშეწყობა და.ა.შ. გამომდინარე აქედან სარეაბილიტაციო ქუჩების ამოღებით რეალურად ბიუჯეტი ვერ შესრულდა, შესაბამისად, წარმოდგენილ პროექტს მხარს არ დაუჭერს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ მოუწოდა კოლეგებს წარმოდგენილ პროექტს მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ ქალაქის განვითარებას.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ ოპონენტებს მიმართა, რომ უფრო მეტი გასაკეთებელი იყო 2013 წელს, პოლიტიკური ანგარიშების გამო 55 მილიონი ლარი დატოვა „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ“ და არაფერი არ გაკეთებულა. დღეს კი საუბარია მილიონ ლარზე, ფაქტიურად 0,01%.

ქ. ბათუმის მერმა ლ. კომახიძემ უპასუხა მ. ქამადაძეს, რომ ეკონომიკური პროექტები გადატანილი იქნა შემდეგ წელს, ეს იყო 35000 ბიზნესინკუპატორის ინდუსტრიული ბიზნესცენტრის პროექტების თანხა, 100 ათასი ეზოების დაპროექტების თანხა, 40 ათასი საერთაშორისო ბიზნეს ინკუპატორის თანხა, რაც ჯამში 170 ათასია. გადმოტანილია კვლევები, რომელიც ჩაიდო სივრცითი განვითარების გეგმის შესყიდვაში. მაღლობა გადაუ-

ხადა გამოთქმული მოსაზრებებისათვის, შექე-  
ბისათვის.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა  
კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20  
წინააღმდეგი - 3 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**3. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერი-  
ტორიისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის  
დამტკიცების თაობაზე“ ქ.ბათუმის მუნიციპა-  
ლიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის  
უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისთვის  
განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული  
წარმოება დაიწყო შპს „ალიანს სიტის“ მოთხოვნის საფუძველზე. საკითხი ეხება  
რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე შპს „ბათუმი სიტის“ საკუთრებაში არსებულ  
საკადასტრო კოდზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას. როგორც  
წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება საპროექტო ტერიტორია, რომელიც  
მდებარეობს რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე, მოიცავს ერთ საკადასტრო  
ერთეულს. მოცემული ტერიტორია განეკუთვნება საცხოვრებელ ზონას, სადაც  
დასაშვებია აღნიშნული ზონისათვის შესაბამისი შენობა-ნაგებობების განთავსება.  
აღნიშნული პროექტი უზრუნველყოფს არსებულ მიწის ნაკვეთზე შეჩერებული  
მშენებლობის ახალი საპროექტო წინადადებით განვითარებას, არსებული შენობის  
შესაძლო დემონტაჟს და მიწის ნაკვეთზე ახალი თანამედროვე მრავალფუნქციური  
კომპლექსის, სასტუმროს, სასტუმრო-აპარტამენტების, საცურაო აუზების,  
ლაუნჯების საოფისე ფართების, მაღაზიების, რესტორნების, ტურისტული და  
სპორტული ობიექტების დაპროექტებას. მიწისქვეშა სივრცეში ასევე დაგეგმილია  
ავტოსადგომის არანაკლებ 450 მანქანაზე მოწყობა. სამშენებლო სამუშაოების დაწყება  
დაგეგმილია 2019 წელს და სავარაუდოდ დასრულდება 2023 წელს.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრი ლ. სირაბიძე მიესალმა  
და წარმატებები უსურვა შპს „ბათუმი სიტის“  
კარგი პროექტის წამოწყებისათვის.

საკრებულოს წევრი რ. თავართქილაძე ქალა-

ქის განვითარების პროექტებს მხარს უჭერს.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ ზღვის პირველ ზოლში კორპუსების აშენება დეველოპერის ინტერესებს ემსახურება, რადგან ამ ადგილზე აშენებული არ არის მომგებიანი და ტურიზმისთვის კარგი. ბათუმი ჩაბეტონებულ ქალაქს ემსგავსება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1 (რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20  
წინააღმდეგი - 2 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 11 აპრილს წარმოდგენილი იქნა ქ. ბათუმში, სააკაძის შესახვევის №2ა-ში მცხოვრები მოქ. მზია კალანდაძის და მოქ. დარეჯან კაკურიას განცხადებები, აღნიშნულ მისამართზე არსებული სახლის ავარიულობის და შესაბამისი დახმარების აღმოჩენის შესახებ. აღნიშნულ განცხადებებთან დაკავშირებით ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ ინფორმაციით მიმდინარე წლის მარტის თვეში ქ. ბათუმში სააკაძის შესახვევში დაიწყო მიწისქვეშა კომუნიკაციების კეთილმოწყობითი სამუშაოები, რის შედეგად დაზიანდა სააკაძის შესახვევის №2ა-ში მცხოვრები მოქ. მზია კალანდაძის და მოქ. დარეჯან კაკურიას საცხოვრებელი სახლი. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ოჯახებს აკმაყოფილებს ბინის ქირის თანხებით, თუმცა ამჯერად მიზანშეწონილად მიაჩნია რომ ამ მიზნისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ხარჯების გაწევის ნაცვლად გამოყენებული იქნას სხვა საშუალება, კერძოდ განმცხადებლებს უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში 2 წლის ვადით გადაეცეს მომავალი მესაკუთრის უფლებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შემდეგი ბინები: ა)ქ. ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლის „ბ“

კორპუსი, მე-2 სართულზე მდებარე 52,40 კვ.მ ფართის #66 ბინა მზია კალანდაძეს და ბ) ქ. ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლის „ბ“ კორპუსი, მე-2 სართულზე მდებარე 67,30 კვ.მ ფართის №73 ბინა დარეჯან კაკურიძეს. აღნიშნული ბინები იმყოფება გარემონტებულ მდგომარეობაში, უძრავი ქონებების ფიზიკური პირებისათვის სარგებლობაში გადასაცემად 2 წლის ვადით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად საჭიროა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ლ. კომახიძემ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახლი საჭიროებს სამხარაულის ექსპერტიზას, სახლის მდგომარეობის თაობაზე, შემდგომ უნდა გამოინახოს ინვესტორი და.ა.შ. ეს პროცედურული საკითხი განგრძობითია. პირადად იყო ოჯახში, აქ ყველა გათენებული დამე რისკია სიცოცხლისათვის, რის გამოც მერიამ მოხერხა საბინაო ფონდიდან გამოყოფილ ბინაში შევიდეს ოჯახი.

საკრებულოს წევრი რ. თავართქილაძე დაეთანხმა და აღნიშნა, რომ დაზიანებული და ავარიული სახლებიდან ოჯახების გამოყვანა აუცილებლობას წარმოადგენს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2017 წლის 13 დეკემბერს გამოიცა ბრძანება „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (შენობა-ნაგებობების) მდგომარეობის შეფასების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებსა და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებს დაევალებათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ავარიული და ამორტიზებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (შენობა-ნაგებობების) მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, საკითხის გადაწყვეტა მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და მხარდაჭერით. ამ მიმართულებით, პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებლად მიგვაჩნია რამდენიმე მეთოდის გამოყენებით, ან/და მათი კომბინირებით, რომელთა საერთო მიზანი იქნება მოსახლეობისათვის ჯანსაღი/უსაფრთხო საცხოვრებე-

ლი გარემოს შექმნა და ქალაქის იერსახის გაუმჯობესება. მერიის მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია საქმისწრმოებისა და ადამიანური რესურსების განყოფილებას სთხოვა საკრებულოს წევრებისთვის მიწოდება.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ წამოაყენა წინადადება საბინაო ფონდიდან ასეთი ოჯახებისთვის ბინების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ქ. ბათუმის მერმა ლ. კომახიძემ შესთავაზა ამგვარ საკითხებზე მსჯელობა. საბინაო ფონდი არ არის საკმარისი. 2020 წლისათვის პროგრამით გათვალისწინებული იქნება და ავარიულ სახლებში მცხოვრებლებს შეექმნებათ უსაფრთხო გარემო.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1 (რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** 5. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ევარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებებს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება.

თავის მხრივ, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის

საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი, ხოლო პრივატიზაციის გეგმა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის საფუძველზე შედგენილი გეგმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტის დასახელების, მდებარეობის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, აუქციონის ფორმის (უპირობო ან პირობებიანი), აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ.

“ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებით დამტკიცებულია:

ა) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტთა ნუსხა“, რომელსაც წარმოადგენილი პროექტით ემატება 5 საპრივატიზებო ობიექტი;

ბ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა“, რომელსაც წარმოადგენილი პროექტით ემატება 5 პრივატიზების გეგმაში შემავალი ობიექტი (უძრავი ქონება);

გ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტთა ნუსხიდან“ ხდება 36-ე პუნქტის ამოღება, კერძოდ ქ. ბათუმში, მანქანთმშენებელი ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე მდებარე 4 337 კვმ მიწის ნაკვეთი (ს.კ 05.27.05.030), რომელიც ამავე განკარგულების პროექტით კვლავ შედის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში, გაზრდილი საწყისი საპრივატიზებო ფასით, შეცვლილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდით და სხვა მიწის ნაკვეთებთან ერთ ლოტში გაერთიანების მიზნით.

დ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმიდან“ ხდება 36-ე პუნქტის ამოღება, კერძოდ ქ. ბათუმში, მანქანთმშენებელი ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე მდებარე 4 337 კვმ მიწის ნაკვეთი (ს.კ 05.27.05.030), რომელიც ამავე განკარგულების პროექტით კვლავ შედის პრივატიზების გეგმაში, გაზრდილი საწყისი საპრივატიზებო ფასით, შეცვლილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდით და სხვა მიწის ნაკვეთებთან ერთ ლოტში გაერთიანების მიზნით.

ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ.#14-ში (ყოფილი გოგებაშვილის ქ.#12) მდებარე ჩაის სახლის მე-3 და მე-4 სართულებზე არსებული 315.75 კვმ ფართთან (ს/კ 05.21.31.003.01.504) და 25.27. კვმ დამოუკიდებელი კიბის უჯრედის ფართთან (ს/კ 05.21.31.003.01.505) დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ: 1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აუდიტ-ეკონომიქსი“-ს შორის 2016 წლის 03 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №51 ხელშეკრულების შესაბამისად, უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის მიზნით, შპს „აუდიტ-ეკონომიქსი“-ს მიერ განხორციელდა მისი შეფასება და 2016 წლის 26 ოქტომბრის დასკვნების თანახმად: ა) ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ.#12-ში მდებარე 315.75 კვმ ფართი (ს/კ 05.21.31.003.01.504) შეფასებული იქნა **790 000 ლარად**;



ბ) 25.27. კვმ დამოუკიდებელი კიბის უჯრედის ფართი (ს/კ 05.21.31.003.01.505) – **63 200 ლარად;**

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #77 განკარგულების შესაბამისად, ცვლილება შევიდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის #36 განკარგულებაში, რომლითაც დამტკიცებული იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტა ნუსხა და უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა და აღნიშნული უძრავი ქონება შეტანილი იქნა საპრივატიზებო უძრავი ობიექტა ნუსხაში და უძრავი ქონების პრივატიზების გეგმაში. მათი აუქციონის ფორმა განისაზღვრა როგორც „უპირობო“, ხოლო საწყისი საპრივატიზებო საფასური დადგინდა: ა) ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ.#12-ში მდებარე 315.75 კვმ ფართი (ს/კ 05.21.31.003.01.504) - 790 000 ლარი; ბ) 25.27. კვმ დამოუკიდებელი კიბის უჯრედის ფართი (ს/კ 05.21.31.003.01.505) – 63 200 ლარი;

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 19 დეკემბრის #1099 ბრძანებით, აღნიშნული უძრავი ქონების ერთ ლოტად პრივატიზების მიზნით, გამოცხადდა უპირობო ელექტრონული აუქციონი, ხოლო საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #77 განკარგულებით დამტკიცებული ფასების მიხედვით. ელექტრონული აუქციონი უნდა ჩატარებულიყო 2016 წლის 29 დეკემბერს 13 საათზე.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 23 დეკემბრის #1136 ბრძანებით, შეწყდა N34 აუქციონი N34IMF116 განაცხადით საპრივატიზაციოდ გამოტანილი N1 ლოტი (ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. №12-ში მდებარე 315,75 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს/კ 05.21.31.003.01.504) და 25,27 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის - კიბის უჯრედის (ს/კ 05.21.31.003.01.505) ვაჭრობის ნაწილში. შესაბამისად, არ მომხდარა აღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზება.

5. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „რიალ აუდიტი“-ს შორის 2017 წლის 13 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №17 ხელშეკრულების შესაბამისად, უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის ხელახალი განსაზღვრის მიზნით, შპს „რიალ აუდიტი“-ს მიერ განხორციელდა მისი შეფასება და 2017 წლის 23 მარტის დასკვნების თანახმად: ა) ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ.#12-ში მდებარე 315.75 კვმ ფართი (ს/კ 05.21.31.003.01.504) შეფასებული იქნა **1 105 125 ლარად;** ბ) 25.27. კვმ დამოუკიდებელი კიბის უჯრედის ფართი (ს/კ 05.21.31.003.01.505) – **15 162 ლარად;**

6. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის #34 განკარგულების შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის #36 განკარგულება, რომლითაც დამტკიცებული იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტა ნუსხა და უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა და ამავე განკარგულებით ახალად დამტკიცდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტა ნუსხა და უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა. თავსი მხრივ, ახალად დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტა ნუსხაში და უძრავი ქონების პრივატიზების გეგმაში არ მომხდარა ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ.#12-ში მდებარე ხსენებული უძრავი ქონების შეტანა.

7. უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის ხელახალი შეფასების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აუდიტ-ეკონომიქსი“-ს

შორის 2019 წლის 10 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №4 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „აუდიტ-ეკონომიქსი“-ს მიერ განხორციელდა მისი შეფასება და 2019 წლის 03 აპრილის დასკვნების თანახმად: ა) ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ.№12-ში მდებარე 315.75 კვმ ფართი (ს/კ 05.21.31.003.01.504) შეფასებული იქნა **761 250 ლარად**; ბ) 25.27. კვმ დამოუკიდებელი კიბის უჯრედის ფართი (ს/კ 05.21.31.003.01.505) – **31 365 ლარად**;

**8.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 11 აპრილს განხორციელდა აღნიშნული უმაღლესი ქონების თაობაზე არსებული ჩანაწერების გაახლება, რა დროსაც უძრავი ქონების მისამართად განისაზღვრა ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.№14, ხოლო საკადასტრო კოდები დარჩა უცვლელი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, რომ ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ.№14-ში მდებარე ჩაის სახლის მე-3 და მე-4 სართულებზე არსებულ 315.75 კვმ ფართის (ს/კ 05.21.31.003.01.504) და 25.27. კვმ დამოუკიდებელ კიბის უჯრედის ფართის (ს/კ 05.21.31.003.01.505) პირვატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების გზით, სასტუმროს მოწყობის პირობის დაწესებით. ამასთან, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ.№14-ში მდებარე ჩაის სახლის შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, რის გამოც მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და მისი ნაწილის პრივატიზების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებული იქნება დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები. ამასთან, შენობის შიდა სარეკონსტრუქციო/ სარემონტო სამუშაოები აწარმოოს მხოლოდ სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული პროექტითა და სააგენტოს ზედამხედველობით, რაც გამორიცხავს ქონების დაზიანებისა და განადგურების შესაძლებლობას; აღსანიშნავია, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი თავის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ.№14-ში მდებარე ჩაის სახლის მე-3 და მე-4 სართულებზე არსებულ 315.75 კვმ ფართს (ს/კ 05.21.31.003.01.505) მისი დაშენების/აშენების დღიდან არ იყენებს რაიმე ფორმით და რაიმე დანიშნულებით, შესაბამისად გამოუყენებელია 25.27 კვმ დამოუკიდებელი კიბის უჯრედის ფართიც (ს/კ 05.21.31.003.01.504); გასათვალისწინებელია ასევე ქონების ფიზიკური მდგომარეობაც (შავი კარკასი);

ამასთან, უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა წლებში (2016წ.; 2017წ.; 2019წ) წარმოდგენილია ერთმანეთისაგან განსხვავებული დასკვნები და გამომდინარე აქედან მიზანშეწონილია, რომ საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცება მოხდეს ზემოჩამოთვლილი დასკვნებიდან ყველაზე მაღალი შეფასების გათვალისწინებით. კერძოდ: ა) ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ.№14-ში მდებარე 315.75 კვმ ფართი (ს/კ 05.21.31.003.01.504) - **1 105 125 ლარი**; ბ) 25.27. კვმ დამოუკიდებელი კიბის უჯრედის ფართი (ს/კ 05.21.31.003.01.505) – **63 200 ლარი**;

ქ. ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე (ყოფილი შარტავას გამზირი) მდებარე 2009 კვმ (ს.კ. 05.27.05.039); 2313 კვმ (ს.კ. 05.27.05.037) და 4 337 კვმ (ს.კ. 05.27.05.030) მიწის ნაკვეთების პრივატიზება იგეგმება ერთ ლოტად, რა დროსაც შესაძლებელია სააუქციონო პირობად განისაზღვროს: მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (რომელიც აუცილებლად მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება: არანაკლებ 300 ნომრიან სასტუმროს, საკონფერენციო დარბაზს, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრს (სპა, ფიტნეს ცენტრი), ღია და დახურული საცურაო აუზს, საზოგადოებრივი კვების ოქბიექტებს, აპარტამენტებს, მრავალფუნქციური გასართობი ცენტრს,

ბილიარდ კლუბს, სავაჭრო ცენტრს, კინოთეატრს, არანაკლებ 100 ავტომობილზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომს) მშენებლობის პირობით.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 2 (მ. ქამადაძე, რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატრეგორიის ტურისტული ავტობუსების მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზრ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სტუმრებზე/ვიზიტორებზე (ტურისტზე) მორგებული ტურისტული მარშრუტის დამტკიცება. კერძოდ“ ახალი ბულვარიდან თამარ მეფის ქუჩამდე.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა გ. მგელაძემ წამოაყენა წინადადება ტურისტული მარშრუტის მწვანე კონცხი (ბოტანიკურ ბაღამდე) გაგრძელების თაობაზე, რაზედაც დაეთანხმა საკრებულოს წევრები.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების (ტურისტული მარშრუტის მწვანე კონცხი-ბოტანიკურ ბაღამდე გაგრძელება), გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1 (რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22  
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M 2 და M 3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხსენებელი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სტუმრებზე/ვიზიტორებზე (ტურისტზე) მორგებული ტურისტული მარშრუტის დამტკიცება და ამ ხაზზე მოწესრიგებული და ტექნიკურად გამართული ტურისტული ავტობუსების შერჩევა კონკურსის გზით.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1 (რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22  
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ე. ჭოლიკიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული  
განყოფილების უფროსის მ/შ

მ. თურმანიძე საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

